პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

ლელო

№ 255 (5025)
1973 წ.
23 დეკემბერი, კვირა.
ფასი 3 კაპ.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული ფიზკულტურისა და სპორტის კომიტეტისა და პროფკავშირთა რესპუბლიკური საბჭოს ორგანო

ЛЕЛО Орган Комитета по физической культуре и спорту при Совете Министров ГССР и республиканского Совета профсоюзов

გაზეთი გამოდის 1934 წლის 18 აპრილიდან



მიფრინავს „სოიუზ-13“

1973 წლის 18 დეკემბერს, 14 საათსა და 55 წუთზე მოსკოვის დროით, საბჭოთა კავშირში დედამიწის ირგვლივი კოსმოსური სივრცის პროგრამის შესაბამისად გაუშვეს კოსმოსური ხომალდი „სოიუზ-13“. ეკიპაჟის შემადგენლობაში არიან ხომალდის მეთაური, მაიორი პ. კლიმუკი და ბორტინჟინერი ვ. ლებედევი.

ორბიტული ფრენის პროგრამით გათვალისწინებულია აწარმოონ ასტროფიზიკური დაკვირვება ვარსკვლავებზე ულტრაიისფერი დიაპაზონით სისტემაზე დადგმული ტელესკოპების „ორიონ-2“-ის სისტემის მეშვეობით; განახორციელონ დედამიწის ზედაპირის ცალკეული უბნების სპექტროზონალური გადაღება სახალხო სამეურნეო ამოცანების გადასაწყვეტად შესაბამისი მონაცემების მიღების მიზნით; განაგრძონ „სოიუზის“ კოსმოსური ხომალდების საბორტო სისტემათა კომპლექსური შემოწმება და გამოცდა; კიდევ უფრო დახვეწონ ხელისა და ავტონომიური მართვის პროცესები, აგრეთვე, სხვადასხვა რეჟიმით ფრენისას — ავტონომიური ნავიგაციის მეთოდები.

ხომალდ „სოიუზ-13“-ის ეკიპაჟთან დამყარებულია შეუფერხებელი რადიო- და სატელევიზიო კავშირი.

აგერ უკვე მეექვსე დღეა კოსმოსური ხომალდი „სოიუზ-13“ განაგრძობს ფრენას და ასრულებს დასახულ პროგრამას.

* * *

სურათზე: კოსმოსურ ხომალდ „სოიუზ-13“-ის მეთაური პ. კლიმუკი გაფრენის წინ ველოერგომეტრზე სამედიცინო გამოცდის დროს.

ვ. პუშკარიოვის ფოტო (საქტასი).

[illegible]

✦ ზუგდიდი

ქალაქის მე-4 საშუალო სკოლასთან ჩამოყალიბებულია ტურისტული კლუბი (ხელმძღვანელი — ზუგდიდის ტურისტულ-საექსკურსიო ბაზის დირექტორი ო. დარასელია). კლუბის წევრმა 22-მა უფროსკლასელმა შრომითი და საბრძოლო დიდების ნაკვალევზე მოაწყო ლაშქრობა მარშრუტით: ზუგდიდი — სოხუმი — ახალშენი — ჩუმკუზნის მთა (2807 მ). მიუხედავად უამინდობისა, ლაშქრობის ყველა მონაწილემ სსრ კავშირის ტურისტის სამკერდე ნიშნის ნორმატივი შეასრულა. ლაშქრობა მიეძღვნა დიდი ოქტომბრის რევოლუციის 56-ე წლისთავს...

კ. ფიფია.

„კომკავშირული პროჟექტორი“ სტადიონზე

ალმა-ათა, 21 დეკემბერი. რესპუბლიკურმა „კომკავშირულმა პროჟექტორმა“ შეამოწმა, როგორ მოემზადა სპორტული ზამთრისთვის ყაზახეთის 80-ზე მეტი სტადიონი, ექვსი სპორტის სასახლე, 10000-მდე სპორტული მოედანი. „კომკავშირული პროჟექტორის“ რესპუბლიკური შტაბის თავმჯდომარის მოადგილე ვ. ბაჟენოვა ამ რეიდის შედეგებზე გვიამბობს:

— ბევრი სპორტული ბაზა კარგად მომზადებული ხვდება ახალ სეზონს. მაგალითად, ზამთრის სპორტის მოყვარულებისთვის ყველაფერი მზადაა თემირთაუში, კლუბ „პოლიმერის“ ბაზაზე. მოაწყვეს 200-ადგილიანი გასახდელები, იყიდეს 160 წყვილი ყელიანი ფეხსაცმელი თხილამურებით და 50 წყვილი ციგურები.

კარგადაა საქმე კომბინატ „კარაგანდაუგოლში“. აქ საციგურაოსთვის მზადაა 25000 კვ მეტრი ფართობი, გამოფენილია პლაკატები და ლოზუნგები, რომლებიც ფიზკულტურის მოყვარულებს მშდ კომპლექსის ნორმატივების ჩაბარებისა და სსრ კავშირის ხალხთა ზამთრის III სპარტაკიადაში მასობრივად მონაწილეობისკენ მოუწოდებენ.

თურგაის ოლქში მზადაა 100-ზე მეტი უმარტივესი მოედანი, 150 სათხილამურო ტრასა, 42 საციგურაო.

ბაზები ეწყობა სოფელ ადგილებშიც. მაგალითად, ბურლინსკის რაიონში თითქმის ყველა კოლმეურნეობას და საბჭოთა მეურნეობას აქვს ჰოკეის მინდორი. ერთი წლის მანძილზე რაიონის მეურნეობებმა დაახლოებით 100000 მანეთის სპორტული ინვენტარი შეიძინეს. ახლა ინვენტარი რაიონის არც ერთ სკოლას არ აკლია.

ამასთან, რეიდმა გამოავლინა არსებული სტადიონებისა და სპორტმოედნების მიმართ ზოგიერთი ორგანიზაციის დაუდევარი დამოკიდებულების ფაქტებიც. ზოგიერთი კომკავშირის კომიტეტი, ისევე როგორც ფიზკულტურისა და სპორტის კომიტეტების ნაწილი, მთლიანად ვერ იყენებს არსებულ შესაძლებლობებს, ფორმალურად უდგება სპორტული სეზონისთვის ბაზების მომზადების საკითხს.

„კომკავშირული პროჟექტორის“ წევრებმა გადაწყვიტეს კონტროლი დააწესონ ნაკლოვანებათა გამოსწორებაზე. ისინი სპორტულ ორგანიზაციებს ეხმარებიან სპარტაკიადის ღირსეულად დასახვედრად მზადებაში.

ვ. ევდოკიმოვი.



✦ სპარტაკიადისთვის ღირსეულად დასახვედრად

✦ მათი სახელები უკვდავია

[illegible]



ვეტერანები ყინულის სარბიელს ტოვებენ

მოსკოვი, 21 დეკემბერი. ლენინის სახელობის ცენტრალური სტადიონის სპორტის სასახლეში დღეს დამთავრდა ჰოკეისტთა ტრადიციული საერთაშორისო ტურნირი გაზეთ „იზვესტიის“ პრიზზე. ტურნირში ევროპის ხუთი უძლიერესი ეროვნული ნაკრები მონაწილეობდა.

გადამწყვეტ მატჩში ერთმანეთის პირისპირ დადგნენ სსრ კავშირისა და ჩეხოსლოვაკიის გუნდები. თამაში დაიწყო, გავიდა ერთი წუთი, გაისმა სირენის ხმა და დარბაზში ტაშმა იქუხა. აქტიურ სპორტს გამოეთხოვნენ საბჭოთა ჰოკეის დიდოსტატები, მსოფლიოს, ევროპისა და ოლიმპიური თამაშების მრავალგზის ჩემპიონები ა. ფირსოვი, ა. რაგულინი და ვ. დავიდოვი. ამ სამმა შესანიშნავმა სპორტსმენმა შორს გაუთქვა სახელი საბჭოთა ჰოკეის. ეს ღირსსახსოვარი დღე ვეტერანებს მიულოცეს მათი ნიჭის თაყვანისმცემლებმა, მეგობრებმა, საბჭოთა კავშირისა და ჩეხოსლოვაკიის ნაკრები გუნდების წევრებმა... შემდეგ ფირსოვი, რაგულინი და დავიდოვი მეგობრებმა მხრებზე შეისვეს და მოედნიდან ასე გაიყვანეს...

მერე კი თამაში მართლაც დაიწყო. მე-7 წუთზე ჩეხოსლოვაკიის ნაკრების მცველმა კუჟელამ უძლიერესი დარტყმით ანგარიში გახსნა, მაგრამ შემდეგ, მთელი შეხვედრის მანძილზე, საბჭოთა ჰოკეისტების უპირატესობა აშკარა იყო. მათ გაიმარჯვეს კიდეც — 7:1 (0:1, 3:0, 4:0).

საერთოდ, სსრ კავშირის გუნდმა მაღალ დონეზე ჩაატარა მთელი ტურნირი (განსაკუთრებით გამოირჩეოდა პეტროვის სამეული: მიხაილოვი — პეტროვი — ხარლამოვი) და იმედი უნდა ვიქონიოთ, რომ ახეთივე ჩინებულ ფორმაში იქნება იგი მსოფლიო ჩემპიონატისთვის, რომელიც ფინეთში ჩატარდება.

საუკეთესო ბომბარდირის პრიზი გადაეცა საბჭოთა ნაკრების კაპიტანს ბ. მიხაილოვს.

• • •

დღეს გაიმართა ტურნირის ბოლოსწინა მატჩიც: ფინეთი — პოლონეთი. შეხვედრა ფრედ დამთავრდა — 1:1. წინადღით პოლონელებმა შვედებს სძლიეს — 3:2.

საბოლოო ცხრილი

	თ.	მ.	ფ.	წ.	შ.	ქ.
სსრ კავშირი	4	4	0	0	32—5	8
ჩეხოსლოვაკია	4	2	0	2	19—13	4
ფინეთი	4	1	1	2	7—17	3
პოლონეთი	4	1	1	2	6—22	3
შვეცია	4	1	0	3	11—18	2

• • •

23 დეკემბერს სსრ კავშირის ნაკრები იმ შემადგენლობით, რომლითაც მოსკოვში ასპარეზობდა, ამერიკის შეერთებულ შტატებში მიფრინავს საერთაშორისო ტურნირში მონაწილეობის მისაღებად.

ერთი ქულით

კიევი, 21 დეკემბერი. ადგილობრივ არმიელებთან გამარჯვების შემდეგ კაუნასის „ჟალგირისმა“ აქ საკავშირო ჩემპიონატის მორიგი მატჩი გამართა „სტროიტელთან“. ბრძოლა იყო მეტად მძაფრი და შეუპოვარი. მასპინძლებმა ერთი ქულით გაიმარჯვეს — 85:84 (44:38).

გათამაშების ცხრილი

მდგომარეობა 22 დეკემბრისთვის

	თ.	მ.	წ.	ბ.	ქ.
ცსკა	11	10	1	1037—871	10
„სპარტაკი“	11	10	1	821—697	10
„კალევი“	10	7	3	781—694	7
„დინ.“ (მ.)	11	6	5	879—879	6
„სტროიტ.“	11	5	6	870—869	5
„დინ.“ (თბ.)	11	4	7	858—905	4
ასკ (კიევი)	11	3	8	795—891	3
ასკ (რიგა)	10	3	7	742—833	3
რტი	9	3	6	655—753	3
„ჟალგირ.“	11	2	9	808—854	2

• •

ტტტ ძნელი საცნობია!

ვილნიუსი, 21 დეკემბერი. დღეს აქ დაიწყო უმაღლესი ლიგის კალათბურთელ ქალთა გუნდების საკავშირო ჩემპიონატის პირველი წრის დასკვნითი ტურის მატჩები.

კვლავ სენსაციური შედეგით დამთავრდა სსრ კავშირის 12-გზის ჩემპიონის — რიგის ტტტ-ს გამოსვლა. ლატვიელმა კალათბურთელებმა, როგორც ცნობილია, უკვე მოასწრეს ორი შეხვედრის წაგება (მოსკოვის ოლქის „სპარტაკთან“ და კიევის „დინამოსთან“). დღეს მათ სატურნირო ცხრილში მესამე ნული ჩაეწერათ. აშკარად ჩემპიონს ანგარიშით 76:50 (35:24) მოუგო ადგილობრივმა „კიბირკშტისმა“, რომელიც მანამდე 1 ქულით სატურნირო ცხრილში ბოლოსწინა ადგილზე იყო.

ლიდერობას ლენინგრადის სპარტაკელები ინარჩუნებენ. დასკვნითი ტურნირის პირველ დღეს მათ თანაქალაქელ ბურევესტნიკელებს აჯობეს — 72:41 (39:21).

დანარჩენი შეხვედრები ასე დამთავრდა: „სპარტაკი“ (მოსკოვი) — „სერპ ი მოლოტი“ (მოსკოვი) 49:44 (31:22), „უნივერსიტეტი“ (ალმა-ათა) — „სტროიტელი“ (ფრუნზე) 74:49 (37:27), „ურალმაში“ (სვერდლოვსკი) — „სპარტაკი“ (მოსკოვის ოლქი) 56:53 (33:27), „დინამო“ (მოსკოვი) — „დინამო“ (კიევი) 58:53 (27:19).

გათამაშების ცხრილი

მდგომარეობა 22 დეკემბრისთვის

	თ.	მ.	წ.	ბ.	ქ.
„სპარტაკი“ (ლენ.)	6	6	0	355-258	6
„დინამო“ (მოსკ.)	6	5	1	364—318	5
„დინამო“ (კიევი)	6	4	2	383—339	4
„სპარტაკი“ (მოსკ. ოლქი)	6	4	2	426-386	4
„ურალმაში“	6	3	3	330-321	3
„უნივერსიტეტი“	6	3	3	357-360	3
ტტტ	5	2	3	271-295	2
„სტროიტელი“	6	2	4	358-393	2
„სპარტაკი“ (მოსკ.)	5	2	3	287-304	2
„კიბირკშტისი“	6	2	4	317-341	2
„სეპ ი მოლოტი“	6	1	5	318-358	1
„ბურევესტნიკი“	6	1	5	305-398	1

გმირთა სახელობის პრიზები

„გმირთა თავდადება დაუვიწყარია“ — ასეთი დევიზით ჩატარდა მოსწავლეთა ტრადიციული ტურნირი კრივში, რომელიც მიეძღვნა ფაშისტი დამპყრობლებისგან სამხრეთ უკრაინის გათავისუფლების 30 წლისთავს.

ნიკოლაევის ახალგაზრდულმა ორგანიზაციებმა გამარჯვებულებისთვის დააწესეს იმ გმირთა სახელობის პრიზები, რომელთაც უკვდავება მოიხვეჭეს დიდ სამამულო ომში.

ახალგაზრდა მოკრივეებს არასოდეს დაავიწყდებათ ეს ტურნირი. სამახსოვრო თასები შინ წაიღეს საუკეთესო სპორტსმენებმა. კერძოდ, საბჭოთა კავშირის გმირის, მზვერავი ჩეკისტის, იატაკქვეშა „ნიკოლაევის ცენტრის“ ხელმძღვანელ ვ. ლიაგინის პრიზი გადაეცა ოდესელ ი. ზელოვს. ამავე პატრიოტული ორგანიზაციის ნორჩ მზვერავთა სახელობის ჯილდო ძიილო ფეოდოსიელმა სპორტსმენმა ი. ჩულკოვმა, ხოლო იატაკქვეშა ორგანიზაციის — „პარტიზანსკაია ისკრას“ პრიზი სიმფეროპოლელ ი. მასლოვს ხვდა. მამაცი მზვერავისა და მეზღვაურის მ. სურნინის სახელობის ჯილდო დაიმსახურა ნიკოლაეველმა ჟ. რეზნიჩენკომ.

ა. სიროში.

ნიკოლაევი.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს სესია

კამათი „საქართველოს სსრ სახალხო მეურნეობის განვითარების 1974 წლის სახელმწიფო გეგმის", „საქართველოს სსრ 1974 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის და 1972 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესრულების შესახებ" მოხსენებებისა და თანამოხსენების გამო

დეპუტატ ნ. გაფრინდაშვილის სიტყვა

ამხანაგო დეპუტატებო! მინდა თქვენი ყურადღება შევაჩერო საქართველოს უმაღლესი საბჭოს ჯანმრთელობის დაცვის, ფიზიკური კულტურისა და სოციალური უზრუნველყოფის მუდმივი კომისიის მიერ შესწავლილ და განხილულ ზოგიერთ საკითხზე.

კომისიამ შეისწავლა და გამოავლინა მთელი რიგი ნაკლოვანებები მოსახლეობის სამედიცინო მომსახურების, ქალაქებისა და სოფლების სანიტარული მდგომარეობის, საექიმო შრომითი-საექსპერტო კომისიების მუშაობის, სოფლად მომუშავე სამედიცინო პერსონალის საყოფაცხოვრებო მომსახურების მდგომარეობის საკითხებში.

კომისიამ იმსჯელა და მდგომარეობის გამოსწორების მიზნით სათანადო რეკომენდაციები მისცა მშრომელთა დეპუტატების საბჭოს აღმასკომებს, სოციალური უზრუნველყოფისა და ჯანმრთელობის დაცვის სამინისტროებს. ამას გარდა, ჩატარდა გასვლელი სხდომები.

კომისიამ ასევე შეისწავლა რესპუბლიკის სანატორიუმებში ავადმყოფების მომსახურებისა და მკურნალობის საკითხი.

ავადმყოფთა კომპლექსური მკურნალობისას ფართოდ არ არის გამოყენებული ისეთი მეთოდები, როგორიცაა სამკურნალო ფიზკულტურა, ჟანგბადით მკურნალობა, არ არის სრულყოფილი წყალქვეშა მასაჟის დანადგარი და ა. შ. ასეთი მაგალითი უამრავია. ყველამ ვიცით, რომ ბუნებრივი სამკურნალო ფაქტორები არც ერთ კურორტზე ჯერ კიდევ არ არის მაქსიმალურად გამოყენებული. რაც მთავარია, ნაკლები ყურადღება ექცევა დამსვენებელთა მკურნალობისა და კულტურულ-საყოფაცხოვრებო მომსახურების საკითხებს.

კომისიამ შეისწავლა სოფლად მომუშავე სამედიცინო პერსონალის საყოფაცხოვრებო მომსახურების მდგომარეობაც.

ჯანმრთელობის დაცვის სამინისტრომ და მედიცინის მუშაკთა მრავალათასიანმა კოლექტივმა მთელი ძალ-ღონე უნდა მოახმარონ მოსახლეობის სამედიცინო მომსახურების საქმეში არსებული ნაკლოვანებების ძირფესვიანად აღმოფხვრას.

ჩვენს რესპუბლიკაში ფიზიკური კულტურა და სპორტი ყოველთვის იყო და არის პოპულარული და მასობრივი. ჩვენ ბევრი გამოჩენილი სპორტსმენი გვყავს, ბევრი მათგანი წარმატებით იცავს რესპუბლიკის ღირსებას საბჭოთა ქვეყნის ფარგლებს გარეთაც. ამჟამად საქართველოს ფიზკულტურული ორგანიზაციების წინაშე მეტად საპასუხისმგებლო, გადაუდებელი ამოცანები დგას. პირველ ყოვლისა ეს არის საბჭოთა კავშირის ხალხთა ზამთრის III სპარტაკიადა, რომელიც გაისად, მარტის თვეში, ბაკურიანში ტარდება. ყველაფერი უნდა გაკეთდეს საიმისოდ, რომ დროულად და ხარისხიანად დამთავრდეს ყველა სამუშაო, ორგანიზებულად, მაღალ სპორტულ დონეზე ჩატარდეს სპარტაკიადა, რომელშიც ყველა მოკავშირე რესპუბლიკის, მოსკოვისა და ლენინგრადის წარმომადგენლები მიიღებენ მონაწილეობას.

ბევრი ნაკლი გვაქვს ხელმძღვანელი ფიზკულტურული კადრების შერჩევაში, აღზრდასა და განაწილებაში. ამ მხრივ ბევრი რამ გაკეთდა: მოვიდნენ ახალგაზრდა, მზარდი მუშაკები, ძველმა სპორტსმენებმა სიყვარულით მოჰკიდეს საქმეს ხელი, მაგრამ კადრების კვალიფიკაციის ამაღლებისთვის ჯერ კიდევ ბევრი შრომაა საჭირო.

ჩვენს მუშაობაში სხვა ნაკლოვანებებიც შეინიშნება, რომელთა დასაძლევადაც საჭიროა დიდი, ინიციატივიანი, თავდადებული გარჯა. ჩვენ მზად ვართ ამისთვის. მე ვსარგებლობ შემთხვევით და კიდევ ერთხელ მინდა მადლობა გადავუხადო ყველას, ვისაც დამსახურება მიუძღვის ჩვენი ჭადრაკის სასახლის მშენებლობაში. მაგრამ, ამავე დროს, არ შემიძლია გულისტკივილით არ აღვნიშნო ისიც, რომ წლების განმავლობაში ჭიანურდება თბილისის ველოტრეკისა და „დინამოს" სტადიონის მშენებლობა, სტუდენტთა ქალაქის სპორტული კომპლექსისა და სპორტის სასახლის გუმბათის რეკონსტრუქცია. სანაპიროზე, სადაც ამჟამად რესტორანი „არაგვია", გაუქმებული საცურაო აუზის ნაცვლად დღემდე ვუცდით ახლის აგებას, მაგრამ სასიკეთო პირი არც ამ მშენებლობას უჩანს.

ჩვენ მზად ვართ საყოველთაო-სახალხო მშენებლობის ობიექტად გამოვაცხადოთ ჩამოთვლილი სპორტული ნაგებობები, მათს მშენებლობასა და კეთილმოწყობაში ჩვენი — სპორტსმენებისა და ფიზკულტურელების წვლილი შევიტანოთ. ეს ჩვენთვის საამაყო იქნება.

სესიას ვთხოვთ მხარი დაუჭიროს ამ ჩვენს თაოსნობას.

ამხანაგო დეპუტატებო! მე გთხოვთ სწორად გამიგოთ. ის, რასაც ახლა მოგახსენებთ, თანაც მოგახსენებთ დიდი გულისტკივილით, ჩვენი საერთო სატკივარია, საქმისადმი იმ არასწორი და ფორმალური მიდგომის შედეგია, რომელიც, სამწუხაროდ, ჩვენი ცხოვრების თანამგზავრი იყო წლების განმავლობაში. ვის არ ახსოვს, რომ ხშირად ჩვენი დედაქალაქის ყველაზე ღირსშესანიშნავი ნაგებობანი უხარისხოდ შენდებოდა, საპირველმაისო ან საოქტომბრო საჩუქრად ცხადდებოდა თბილისელთა სასიამოვნოდ და საამებლად. მაგრამ მშენებლობის ცუდი ხარისხის გამო ეს ობიექტი პირველი მაისისა თუ ოქტომბრის დღესასწაულის შემდეგ ხელახლა შეკეთებასა და დასრულებას მოითხოვდა. ასე მოუვიდა ჩვენს ჭადრაკის სასახლესაც. აბა რა გამართლება მოეძებნება იმ ფაქტს, რომ გუშინ დამთავრებულ, საუცხოოდ ჩაფიქრებულ ჭადრაკის სასახლეში დღეს წვიმა ჩამოდის და მის სახურავს, სპორტის სასახლისა არ იყოს, უკვე შეკეთება სჭირდება?

საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის დღევანდელი ხაზი და მიმართულება ჩვენ, სპორტსმენებს და, მე ვიტყოდი, საერთოდ, მთელს მოსახლეობას, იმით გვხიბლავს, რომ, მგონი, ბოლო მოეღება ყველაფერს მოჩვენებითს, შინაარსს და არსებითს დაეთმობა პრიორიტეტი და, როგორც იტყვიან, ღვთის წყალობით, პირველი მაისისა თუ ოქტომბრის დღესასწაულები არ დაგველევა.

მე მგონი, ამავე კუთხით შეიძლება განვიხილოთ და გავიაზროთ ქართული ფიზკულტურული და სპორტული მოძრაობის ზოგიერთი სხვა საკითხიც. კერძოდ, მე მინდა ვთქვა, რომ აღარ შეიძლება მოთმენა იმ ყოვლად შეუწყნარებელი ფაქტისა, რომ ქართული სპორტი ამჟამად თმობს პოზიციებს კოლექტიურ სახეობებში. გუშინ ქართველმა კალათბურთელებმა შეხვედრა წააგეს 30-ზე მეტი ქულით! ჩვენმა ფეხბურთელებმა ინგლისში სამარცხვინოდ წააგეს უეფა-ს თასის გათამაშების მატჩი. მაგრამ კიდევ უფრო სამარცხვინო იყო მათი ტელეინტერვიუები თბილისის აეროპორტში მომავალი თამაშის თაობაზე. ყველა ქართველი ფეხბურთელი ჩემი მეგობარია და სწორედ ეს მავალებს გულწრფელად ვუთხრა მათ: საჭიროა მეტი თავმდაბლობა, მეტი თავგანწირვა და არა ქედმაღლობა და თავის ქება.

ქართველ სპორტსმენებს შეუძლიათ საქართველოს საქვეყნოდ სახელი გაუთქვან და სწორედ ამას უნდა მიხედვა, გულისყური, პასუხისმგებლობა.

სადღაა ქართული წყალბურთი, ხელბურთი და ფრენბურთი! აი, ამაზეც უნდა ვიფიქროთ.

ამხანაგო დეპუტატებო! მე მგონი, თქვენ არ ჩამომართმევთ უფლებას, რომ გამოსვლა საჭადრაკო ტერმინოლოგიით დავამთავრო. 1973 წელი მიიწურა. წლეულს დებიუტიც, მიტელშპილიც და ენდშპილიც სასიკეთო ჰქონდა ჩვენს რესპუბლიკას. ვისურვოთ, რომ 1974 წელი — მეცხრე ხუთწლედის განმსაზღვრელი წელი — ასევე სიკეთის მომტანი ყოფილიყოს.

იბეჭდება შემოკლებით.

სსრკ
თასი
73

მწვრთნელი - ბარომეტრი

თბილისის სპორტის სასახლეში, მრავალრიცხოვანი მაყურებლის თვალწინ, გუშინწინ გაიმართა საკავშირო თასის ესპადრონისტთა ტურნირის ფინალური შეჯიბრება. საინტერესო ბრძოლის შემდეგ, როგორც მოსალოდნელი იყო, თასი ხვდა მსოფლიოს უძლიერეს ხმლით მოფარიკავეს, მინსკელ ვ. სიდიაკს. დიდი ჯაფა დაადგათ მომდევნო ადგილებისთვის მებრძოლთ. ამჯერად ბედმა გაუღიმათ მოსკოველ ვ. კროვოპუსკოვს და რსფსრ-ს წარმომადგენელ მ. რაკიტას.

... ნახევარფინალური ტურნირის წინ ვაკის საფარიკაო დარბაზის კუთხეში (წინასწარი შეჯიბრებები ამ დარბაზში მიმდინარეობს) იჯდა შუახანს მიტანებული, ტანმორჩილი კაცი. მის სახეზე ერთდროულად რამდენიმე გრძნობას ამოიკითხავდა კაცი. მისი განმარტოება კარგად შევნიშნე. ცნობილი ქართველი მწვრთნელი ტ. მესხი ასეთ პოზაში სხვა დროსაც მინახავს. ასე იჯდა იგი, მაგალითად, ლენინგრადის 1961 წლის საკავშირო ჩემპიონატის დროს, როცა მისი აღზრდილები გ. კოსტავა და ნ. ასათიანი სულ ახლოს იყვნენ საბოლოო წარმატებასთან. კაცმა რომ თქვას, მათი გამარჯვება ჯერ კიდევ სათუო იყო, მაგრამ მწვრთნელი ინტუიციით გრძნობდა სასიკეთო ფინალს და ამიტომ შესამჩნევად ღელავდა. ასეა მუდამ სასიამოვნო მოლოდინის დროს. ერთი სიტყვით, როცა მესხი განმარტოვდება, მოფარიკავეებმა იციან, რომ იგი გუმანით ხვდება თავისი მოწაფეების წარმატებას. დიახ, ჯერ არაფერი იყო ნათელი, მაგრამ ვიგრძენი, რომ ჩვენები წინასწარ შეჯიბრებაში ურიგოდ არ უნდა გამოსულიყვნენ.

მოლოდინი გამართლდა. კარგა ხანია ორი ჩვენი მოფარიკავე ერთდროულად არ გამოსულა ნახევარფინალურ ტურნირში. ამჯერად ეს ურთულესი ამოცანა (შეგახსენებთ, რომ ესპადრონისტთა ტურნირში მონაწილეობდა 48 მოფარიკავე) წარმატებით დაძლიეს ქუთაისელმა ა. გაგულაშვილმა და თბილისელმა ა. კიკნაძემ. ნუ გაგაოცებთ, რომ ჩვენ თვალსაჩინო წარმატებად მიგვაჩნია ქართველი მოფარიკავეების მონაწილეობა ნახევარფინალურ შეჯიბრებაში. ფარიკაობაში ნახევარფინალი უძლიერესი მოფარიკავეების „სამფლობელო" გახლავთ და იქ შემთხვევით „ჩიტიც ვერ შეფრინდება". ნახევარფინალამდე რამდენიმე წინაღობა არსებობს, რომელთა დაძლევაც მხოლოდ მაღალი კლასის მოფარიკავეთა ხვედრია.

თავი დავანებოთ ნახევარფინალს, რომელიც ბოლოს და ბოლოს მხოლოდ საკავშირო ნაკრების კანდიდატის თავისებურ სავიზიტო ბარათს იძლევა. მთავარი სხვაა: გაგულაშვილიც და კიკნაძეც გეგმაზომიერად უტევენ საფარიკაო ელიტის „ციხესიმაგრეს". ორივემ თასის გათამაშებამდე მიიქცია ყურადღება სხვადასხვა შეჯიბრებაში მოპოვებული წარმატებებით. თუ ქუთაისელი სპორტსმენისთვის ახლანდელი ასპარეზობის ნახევარფინალში გახვალა კანონზომიერ მოვლენად შეიძლება მივიჩნიოთ (იგი დიდი ტურნირების ფინალშიც გვინახავს), სრულიად ახალგაზრდა კიკნაძისთვის ეს წარმატება ფრიად ნიშანდობლივია. კიკნაძემ საუცხოო შთაბეჭდილება დატოვა შესაშური მონდომებით, რაც მთავარია, იუნიორისათვის ერთობ უჩვეულო ნებისყოფითა და მიზანსწრაფვით. დიახ, ჩვენს თვალწინ იძერწება ძლიერი მოფარიკავის ტიპი.

რაც შეეხება თასის გათამაშების ფინალურ ნაწილს, აქ მწვრთნელი ტ. მესხი „ჩვეულებრივი" მაყურებლის როლში წარმოგვიდგა. იგი აღარ დამჯდარა „ამოჩემებულ" კუთხეში, რამეთუ მღელვარება უკან დარჩა — ჩვენი მოფარიკავეები ფინალში არ მონაწილეობდნენ.

ფინალმა ძლიერი შემადგენლობა შეკრიბა. ვინ იზარალა სახელოვანი მოფარიკავეებისგან, ვინ ვერ მოხვდა თასის „უშუალო" მაძიებელთა რიგებში? უპირველეს ყოვლისა ესაა მსოფლიოს ერთ-ერთი უძლიერესი ესპადრონისტი, მახაჩყალელი ვ. ნაზლიმოვი. რა ვუყოთ, ეს მომენტი კიდევ ერთხელ ადასტურებს შეხედულებას, რომ ფარიკაობა თავისი ბუნებით ჭირვეულ მარტს მოგვაგონებს, ხოლო ფორტუნა ერთობ თავქარიანი ქალბატონია.

ნაზლიმოვი ნახევარფინალში გამოეთიშა ტურნირს, მაგრამ რა უნდა ვთქვათ იუნიორთა შორის ორგზის მსოფლიო ჩემპიონზე, მოსკოველ ბ. რენსკიზე, რომელიც ნახევარფინალამდეც ვერ მივიდა? არა, ფარიკაობაში, ეტყობა, იღბალსაც დიდი როლი ენიჭება. რეზსის ბედი გადაწყვიტა ქვეყნის ნაკრების წევრმა, მინსკელმა ბ. პავლენკომ.

მაგრამ სპორტული იღბლის ცნება, ფორტუნის ჭირვეულობა თითქმის სავსებით არ არსებობს მინსკელი ვ. სიდიაკისთვის. შემზარავად საოცარია მისი სტაბილურობა წლების მანძილზე არა მარტო შინაურ, არამედ საგარეო ტურნირებშიც. ჯერ არც ერთ ოსტატს არ დაუმზადებია ძვირფასი ლითონისგან ნაჭედი ისეთი მედალი, პრიზი, თუ სპორტული სუვენირი, რომელიც ვიქტორს არ მიეღოს. მისი რკინის ხელი მხოლოდ გამარჯვებებს იმკის. სიდიაკისთვის ნებისმიერ ტურნირში II ადგილზე გასვლა დიდ წარუმატებლობად ითვლება. ასე მოხდა წლეულსაც, როცა გეტებორგის მსოფლიო ჩემპიონატში მინსკელ მოფარიკავეს „მხოლოდ" ვერცხლის მედალი ხვდა.

„ცუდი" სამსახური გაუწია სიდიაკმა ესპადრონისტთა თასის წლევანდელ გათამაშებას. რატომ? იმიტომ, რომ ძალიან დაჯაბნა ფინალის სხვა მონაწილეები, რამაც ტურნირისადმი ინტერესი ერთგვარად შეანელა. ეს კი არა, რაკიტასთან მას შეეძლო წაეგო კიდეც, რადგანაც თასს ამ დროისთვის უკვე ვერავინ შეეცილებოდა. სიდიაკმა ეს „არაპრინციპული" ბრძოლა ოლიმპიური სიმშვიდით წააგო და ღიმილით ჩააბარა... თასი.

სიდიაკი შეჯიბრების მონაწილეებისთვის მიუწვდომელი დარჩა. სამაგიეროდ, ვინც ერთმანეთს „მისწვდა", აი, იმათ კი ატეხეს ფიცხელი ბრძოლა. პირველად გამარჯვებით იბრძოდა საპრიზო ადგილისთვის რაკიტა. მისთვის ეს ტურნირი, თუ ფიგურალურად ვიტყვით, სიცოცხლე-სიკვდილის საკითხი იყო. საქმე ისაა, რომ ოფიციალურ უძლეველი ესპადრონისტის ხმალს გარკვეულ პერიოდში ჟანგი მოეკიდა. „ძლიერთ ამა ქვეყნისა" რაკიტა აიძულეს დაეტოვებინა ქვეყნის ნაკრები, რომლის უძველესი ბინადარიც ის გახლდათ. რა დასამალია, უკვე ბევრმა „ჩამოწერა" ფარიკაობის ეს დიდოსტატი. და აი, თბილისის ტურნირმა რაკიტას, როგორც იქნა, სული მოათქმევინა. მისი ხმალი თითქმის ძველებურად კაშკაშებდა, რაკიტამ თავისებური ფსიქოლოგიური რუბიკონი გადალახა, „შური იძია" მის უშუალო მეტოქეებზე და კვლავ დიდი ფარიკაობის მძლავრ ნაკადს შეუერთდა. ბედნიერ ნაოსნობას ვუსურვებთ ფარიკაობის ნაცად კაპიტანს.

ა. გოგელია,
სპორტის ოსტატი.

• • •

გაგაცნობთ ფინალისტებს (დაკავებული ადგილების მიხედვით): 1. ვ. სიდიაკი (მინსკი), 2. ვ. კროვოპუსკოვი (მოსკოვი), 3. მ. რაკიტა, 4. ვ. ბაჟენოვი (ორივე — რსფსრ), 5. ა. ილიუკი (მოსკოვი), 6. ე. ვინოკუროვი (ლენინგრადი).

• • •

სურათზე: ესპადრონისტთა ფინალური ბრძოლის მომენტი.
მ. ზარგარიანის ფოტო.

ვ. სიდიაკი.

ᲝᲤᲘᲪᲘᲐᲚᲣᲠᲘ ᲘᲡᲢᲝᲠᲘᲘᲡ ᲓᲐᲡᲐᲬᲧᲘᲡᲘ

ძიუდოისტთა დამფუძნებელი ჩემპიონატის შედეგების შესახებ

ძიუდოისტთა პირველი საკავშირო ჩემპიონატი, რომელიც ამ ცოტა ხნის წინათ კიევში ჩატარდა, მნიშვნელოვანი მოვლენა იყო ჭიდაობაში. დამფუძნებელმა ჩემპიონატმა თავი მოუყარა ცოდნის და გამოცდილების იმ მარაგს, რომელიც ბოლო 10 წლის მანძილზე დაგროვდა, უმთავრესად, ევროპისა და მსოფლიო ჩემპიონატებში, აგრეთვე, ოლიმპიურ თამაშებში მონაწილეობის ხარჯზე. ამიერიდან არსებობენ სსრ კავშირის ოფიციალური ჩემპიონები, ჩაეყარა საფუძველი საკავშირო ჩემპიონატების ისტორიას.

მაგრამ პირველი საკავშირო ჩემპიონატის ვადები დაემთხვა იმ ორგანიზაციულ რეფორმებს, რომლებმაც უახლოესი წლების მანძილზე უნდა წარმართოს ძიუდოს განვითარება მთელს მსოფლიოში. ეს რეფორმები უმთავრესად შეჯიბრების წესებს, მათს სტრუქტურასა და ფორმულას ეხება.

ახალმა წესებმა, რაც წლეულს პირველად შევიდა ძალაში, ბევრი გაუგებრობა გამოიწვია, პირველ ყოვლისა ინფორმაციის საკითხში. ცნობებს, რომლებსაც უშუალოდ „ბრძოლის ველიდან“ ვიღებდით (ამ შემთხვევაში — კიევის სპორტის სასახლიდან), აკლდა დამაჯერებლობა, სიზუსტე და ამიტომაც ზოგ შემთხვევაში არასწორი ინფორმაციის საბაბი ხდებოდა.

რაში მდგომარეობს ამ სიახლეთა არსი? ზოგადად ორი ძირითადი პუნქტი უნდა გამოვყოთ, ვინაიდან დანარჩენი სიახლეები ამ პუნქტების თავისებურ ვარიაციას წარმოადგენს. პირველი სიახლე ასეთი შინაარსისაა: ჩემპიონი ვერასგზით ვერ გახდება სპორტსმენი, თუკი თუნდაც ერთ ბრძოლას წააგებს.

ეს საკმაოდ არსებითი ხასიათის სიახლეა, რომელიც ძირფესვიანად ცვლის ბრძოლის ტაქტიკას. უწინ დამარცხებულ სპორტსმენს ჰქონდა დამატებითი პრივილეგიები, რომლებიც მას ოქროს მედლისთვის ბრძოლის შანსს უტოვებდა. ალბათ, ყველას გახსოვთ მიუნჰენის ოლიმპიური თამაშები, სადაც ჩვენმა თანამემამულე შოთა ჩოჩიშვილმა, პირველი მარცხის მიუხედავად, უმაღლეს ტიტულამდე მიაღწია. ახლა ასეთი ფუფუნება ავტომატურადაა გამორიცხული. დამარცხებულ სპორტსმენს უკეთეს შემთხვევაში მხოლოდ ვერცხლის ჯილდოზე შეუძლია ფიქრი, ისიც განსაკუთრებულ სიტუაციებში.

რამდენად მართებულია ეს სიახლე? სპეციალისტების უმრავლესობას მიაჩნია, რომ ახალი წესი ხელს შეუწყობს ძიუდოისტთა ოსტატობის ზრდას და მაქსიმალურად გამორიცხავს შემთხვევითობის ელემენტს. ახლა ჩემპიონობისთვის მებრძოლი თავის ბედს თვითონვე განაგებს და, ვინაიდან იცის, რომ მარცხის შემთხვევაში II ადგილს ვერ ასცდება, უფრო აზრიანად და პასუხისმგებლობით მოეკიდება ყოველ შეხვედრას. გარდა ამისა და ეს, ჩვენი აზრით, მთავარია, ამიერიდან სხვა შერკინებების შედეგები გავლენას ვერ მოახდენს საერთო შედეგზე.

მეორე სიახლე უმთავრესად მსაჯობას შეეხება. ეგრეთ წოდებული ღია მსაჯობის თანახმად, არბიტრები დაუყოვნებლივ აფასებენ ყოველ ფანდს, ილეთს. მაყურებლებს, ისევე როგორც სპორტსმენებს და მწვრთნელებს, საშუალება აქვთ წარმოიდგინონ მთელი ბრძოლის სურათი და გადაწყვეტილებებიც ამის შესაბამისად მიიღონ.

ჩვენ ხშირად გვსმენია უკმაყოფილება იმის გამო, რომ ძიუდოში ცალკეული ილეთების, ან მთლიანად ჭიდაობის მსვლელობის შეფასებას საკმაოდ რთული სისტემა უდევს საფუძვლად. სირთულე აქ არაფერ შუაშია, უბრალოდ, იგი უცნობია ჩვენთვის და ამიტომაც გაუგებრად გვეჩვენება. თორემ ძიუდოში ყველაფერს თავისი სახელი აქვს და ყველა ილეთს რაღაც კონკრეტული არითმეტიკული ფორმულა შეესაბამება.

ახლა კი მივყვეთ საკავშირო ჩემპიონატის დეტალებს. ეს შეჯიბრება თავდაპირველად ცნობილი იყო, როგორც პირად-გუნდური, მერე კი რატომღაც პირადად გადაკეთდა. ასპარეზობაში მონაწილეობა მიიღეს ყველა მოკავშირე რესპუბლიკის, აგრეთვე, მოსკოვისა და ლენინგრადის ათლეტებმა. მაგრამ საკავშირო ფედერაციის ნებართვით ზოგიერთ რესპუბლიკასა და ქალაქს, სადაც განსაკუთრებით პოპულარულია ეს სახეობა და სადაც ბლომად არიან მაღალი კლასის ძიუდოისტები, ორ-ორი გუნდის გამოყვანის უფლება მიეცათ. ასე რომ, 17 კოლექტივს დაემატა საქართველოს, რუსეთის ფედერაციისა და უკრაინის კიდევ თითო გუნდი.

კიევის ფიზკულტურულმა აქტივმა ბრწყინვალედ, მაღალ დონეზე ჩაატარა ტურნირი. ორგანიზაციულად მას ნაკლს მართლაც ვერ მოუნახავდით. შეხვედრები ტარდებოდა ადგილობრივ სპორტის სასახლეში, ბევრი მაყურებლის თანდასწრებით და, რაც მთავარია, უნაკლო მსაჯობით. მაგრამ, სამწუხაროდ, ჩემპიონატის ვადები არ იყო კარგად შერჩეული. განსაკუთრებული უხერხულობა შეუქმნა მან საქართველოს ძიუდოისტებს.

ჩემპიონატის წინ ტაშკენტში დამთავრდა სამბისტთა საკავშირო თასის გათამაშება. დაახლოებით ამ პერიოდში საქართველოს ნაკრები ძიუდოს სამშობლოში — იაპონიაში იყო. ამ ორი შეჯიბრების მონაწილეებმა თბილისში თავი მოიყარეს ნოემბრის მიწურულს, როცა გუნდი უკვე მზად იყო კიევში გასამგზავრებლად. ცხადია, ამან ერთგვარად შეასუსტა ჩვენი ნაკრების შემადგენლობა, მით უმეტეს, რომ იაპონიასა და ტაშკენტში ზოგიერთი მოჭიდავე (შ. ჩოჩიშვილი, ნ. სალთხუციშვილი, თ. ხუბულური, რ. ოდიშელიძე) დაშავდა. ეს რომ არა, ჩვენი ძიუდოისტების წარმატება უფრო თვალსაჩინო იქნებოდა.

მაგრამ შედეგი, რომელსაც საქართველოს ათლეტებმა კიევში მიაღწიეს, თავისთავად მრავლისმეტყველია. არაოფიციალურ გუნდურ ჩათვლაში I ადგილი და 10 მედალი, მათ შორის — 2 ოქროს, 2 ვერცხლისა და 6 ბრინჯაოსი. სამი დღის მანძილზე საპატიო კვარცხლბეკზე 9 ქართველი ძიუდოისტი ავიდა (ერთმა — ჯ. ნიჟარაძემ ორი ბრინჯაოს მედალი მიიღო მძიმე წონასა და აბსოლუტურში).

მეტი სიცხადისთვის მივყვეთ მოვლენათა მსვლელობას წონითი კატეგორიების მიხედვით:

მსუბუქი წონა (63 კგ). მას შემდეგ, რაც ერთ-ერთი მთავარი ფავორიტი, ევროპის ჩემპიონი, კიეველი ს. მელნიჩენკო პირველივე წრეში დამარცხდა კონტინენტის პირველობის მეორე პრიზიორთან, მინსკელ გ. ივშინთან, წინა პლანზე დადგა ორი ათლეტი: ჩემპიონის მცდელები ივშინი და ჩვენი შ. ფიცხელაური. ამ უკანასკნელმა დამაჯერებლად ჩაატარა ყველა წინასწარი შერკინება. განსაკუთრებით საინტერესო იყო მისი შეხვედრა ახალგაზრდა მაიკოპელ ოსტატ ი. ამინოვთან. ფიცხელაურმა მოიგო ეს ბრძოლა, ისევე როგორც ყველა სხვა შეხვედრა, მათ შორის მთავარ მეტოქესთან ივშინთან და ჩემპიონიც გახდა.

ამ წონაში ასპარეზობდა კიდევ ერთი ქართველი ძიუდოისტი, ევროპის ჩემპიონი ახალგაზრდებში ტ. ცინცაძე. ახალგაზრდა სპორტსმენს არ ეყო გამოცდილება და ამიტომაც მაღალ ადგილზე ვერ გავიდა, თორემ ჩემპიონატში მონაწილეობა მისთვის უდავოდ სასარგებლო იყო.

ქვესაშუალო წონა (70 კგ). ყოველგვარ მოლოდინს გადააჭარბა ახალგაზრდა მოჭიდავის, დუშელი კ. შაბურიშვილის დებიუტმა. იგი საქართველოს ჩემპიონიც კი არ არის, მაგრამ ისეთ გამოცდილ ოსტატთან, როგორიც მოსკოველი მ. მუხამეტინია, მცირე უპირატესობით წააგო. შაბურიშვილმა ყველა მომდევნო მეტოქე დაამარცხა, მაგრამ, ახალი წესის თანახმად, ამ ერთადერთმა მარცხმა გზა გადაუღობა ოქროს მედლისკენ.

ბრინჯაოს მედალი უთუოდ დიდი წარმატებაა სპორტსმენისთვის, რომელიც მანამდე მხოლოდ ქართულ ჭიდაობას და სამბოს მისდევდა და ძიუდოში რამდენიმე თვის წინათ სცადა პირველად ბედი (მაშინ შეიარაღებულ ძალთა საკავშირო ჩემპიონატში I ადგილი დაიკავა).

ამ წონაში გამოდიოდა ა. წიკლაურიც, რომელსაც ერთობ პრინციპული ჭიდილი ჰქონდა მაიკოპელ გ. ნევზოროვთან. ეს უკანასკნელი სსრ კავშირის ნაკრების ძირითადი წევრია, უკვე აღიარებული ოსტატი, ამიტომაც ახალგაზრდა წიკლაურისგან წინააღმდეგობას არ ელოდა. წიკლაური თითქმის სულ წინ იყო, დამაჯერებლად ფლობდა ინიციატივას, მაგრამ გამოუცდელობის მიზეზით ბოლო 5 წამში გაფრთხილება მიიღო და დამარცხდა. მომდევნო წრეში ნევზოროვიც დაისაჯა (მას მომავალმა ჩემპიონმა, კიეველმა ა. ნოვიკოვმა მოუგო). მაგრამ ამას წიკლაურისთვის უკვე აღარ ჰქონდა მნიშვნელობა. სპეციალისტთა აღიარებით, თუ ახალგაზრდა ოსტატი შემდგომშიც ასე გაბედულად იმოქმედებს, უეჭველად მოხვდება სსრ კავშირის ნაკრების კანდიდატთა სიაში.

ნახევრად მძიმე წონა (80 კგ). ჩვენი რესპუბლიკა ამ წონაში სამი თანაბარი სიძლიერის მოჭიდავით იყო წარმოდგენილი. მაგრამ მოხდა ისე, რომ ჯგუფური ტურნირების პირველივე წრეში ერთმანეთს შეხვდნენ რ. ხარშილაძე და მოსკოველი ა. ციუპაჩენკო. ციუპაჩენკომ სძლია მთავარ მეტოქეს, წარმატებით ჩაატარა სხვა შეხვედრებიც და ჯგუფში I ადგილი დაიკავა. II ჯგუფში შეუდრეკელი იყო გ. გოგოლაური, რომელმაც ყველა წინასწარი შეხვედრა წმინდად მოიგო. მერე შედგა მთავარი ბრძოლა ციუპაჩენკოსა და გოგოლაურს შორის. ბრძოლას დიდი უპირატესობით წარმართავდა გოგოლაური, მაგრამ ერთ მომენტში მოდუნდა და გამოცდილ მეტოქეს მახრჩობელა ილეთის ჩატარების საშუალება მისცა. დაშავებული გოგოლაური ექიმებმა შეჯიბრებიდან მოხსნეს. ხარშილაძეს ვერცხლის მედლისთვის ბრძოლის საშუალება გაუჩნდა და მიაღწია კიდეც საწადელს. III ადგილი გოგოლაურთან ერთად გაიყო ახალგაზრდა, უდავოდ პერსპექტიულმა ა. ბარკალაევმა. ბრინჯაოს მედალი ისეთ სახელოვან ძიუდოისტებთან ბრძოლაში, როგორიც ციუპაჩენკო, გოგოლაური ან ხარშილაძეა, მის დიდ წარმატებად უნდა მივიჩნიოთ.

ქვემძიმე წონა (93 კგ). წარმატებით იჭიდავა თბილისელმა ა. მუზაევმა. მან ყველა წინასწარი ბრძოლა წმინდად მოიგო და ფინალშიც ერთ-ერთ მთავარ ფავორიტად ითვლებოდა. ოქროს მედლის საკითხი გადაწყდა კიეველ გ. რუხლიადევთან მის შეხვედრაში. უკრაინელმა, გრძნობდა რა მეტოქის ფიზიკურ უპირატესობას, ეშმაკობას მიმართა: იგი ხშირად აჩერებდა ბრძოლას ამა თუ იმ მიზეზის გამო, აშკარად აგდებდა ტემპს და ინიციატივას უკარგავდა მეტოქეს. ახალგაზრდა თბილისელს მოთმინება არ ეყო, გამარჯვების წყურვილით შეპყრობილმა დაკარგა სიფხიზლე, რაც კარგად გამოიყენა გამოცდილმა ოსტატმა და მტკივნეული ილეთის ჩატარებით ბრძოლა თავის სასარგებლოდ დაამთავრა. მუზაევს ვერცხლი ერგო.

უდავოდ ქებას იმსახურებს ჩვენი ახალგაზრდა თანამემამულე გ. ბაგაშვილიც, რომელმაც ჭიდაობა ნორიოში დაიწყო. მას დიდი მომავალი აქვს. ამას ყველა ერთხმად აღნიშნავს და აი, საბუთიც: ბაგაშვილმა ჩემპიონატზე ერთადერთი ბრძოლა წააგო, ისიც ჩემპიონთან — რუხლიადევთან და საბოლოოდ ბრინჯაოს ჯილდოს დასჯერდა. დაჯერებულნი ვართ, ალბათ, რომ დებიუტანტისთვის ასეთი წარმატება ურიგო არაა.

მძიმე წონა. აქ, სულ ცოტა, ოთხ მოჭიდავეს ერთნაირი შანსი ჰქონდა ოქროს ჯილდოზე ფიქრისა. ორი მათგანი — გ. ონაშვილი და ჯ. ნიჟარაძე — საქართველოს წარმომადგენლები იყვნენ. მოსკოველი კუზნეცოვი და კიეველი ნ. ნოვიკოვი კი დამატებით ატესტაციას არ საჭიროებენ, ამიტომაც მათზე არაფერს ვამბობთ. ონაშვილმა კარგად მოიგო ჯგუფური ტურნირი. მაგრამ მთავარი ის იყო, რომ უკვე სტარტზევე ჩამოიცილა ერთ-ერთი ფავორიტი — ნოვიკოვი. მეორე ჯგუფში თავი გამოიჩინა კუზნეცოვმა, რომელმაც ასევე ყველა შერკინება მოიგო, მათ შორის ჯ. ნიჟარაძესთან (ამ შეხვედრის შეფასებისას მსაჯების აზრი გაიყო, მაგრამ კამათის შემდეგ ანგარიშით 2:1 უპირატესობა კუზნეცოვს მიაკუთვნეს). ნიჟარაძეს დაეკეტა გზა ოქროს მედლისკენ. ონაშვილ-კუზნეცოვის ბრძოლა ქართველმა ათლეტმა მოიგო. სხვათა შორის, გ. ონაშვილი ამ ტურნირის პირველი ჩემპიონი გახდა (ძიუდოისტთა ტურნირს ტრადიციულად მძიმეწონოსნები იწყებენ) და კიევის სპორტის სასახლეში გამარჯვებულთა პატივსაცემად შესრულებული პირველი ჰიმნი საქართველოსი იყო.

ᲐᲑᲡᲝᲚᲣᲢᲣᲠᲘ ᲬᲝᲜᲘᲗᲘ ᲙᲐᲢᲔᲒᲝᲠᲘᲐ. ნიჟარაძემ აქაც სცადა ბედი, მაგრამ არ გაუმართლა. მან ერთადერთი ბრძოლა წააგო, ამჯერადაც უძლიერესთან, მოსკოველ ა. კაზაჩენკოსთან, რომელმაც საბოლოოდ ოქროს მედალი მოიპოვა. და მაინც, არ შეიძლება ხაზი არ გავუსვათ ნიჟარაძის ვაჟკაცურ ხასიათსა და თავგანწირვას, რომლის საფასურიც იყო ორი ბრინჯაოს მედალი ერთ ტურნირში.

ჩემპიონატის შემდეგ ოფიციალურად გამოცხადდა სსრ კავშირის ძიუდოისტთა ნაკრები გუნდების კანდიდატთა სიები, რომლებშიც ჩვენი რესპუბლიკიდან მოხვდნენ: ჭაბუკთა ნაკრებში — მ. კარიაული, გ. ტოტოშვილი, მ. ზრომელი, ბ. გუგავა; ახალგაზრდულ ნაკრებში — ა. ობგაიძე, გ. იობიძე, ჯ. კბილაშვილი, დ. ხაბულიანი, ო. ყურაშვილი, რ. ჭიკაიძე, ზ. ბახტაძე, ნ. ელიზბაშვილი, ვ. მერკვილაძე; უფროსთა ნაკრებში — შ. ფიცხელაური, გ. გოგოლაური, რ. ხარშილაძე, ა. ბარკალაევი, ა. მუზაევი, გ. ბაგაშვილი, გ. ონაშვილი, ჯ. ნიჟარაძე, შ. ჩოჩიშვილი.

ქებით უნდა მოვიხსენიოთ ის მწვრთნელები, რომელთა მოწაფეებმაც თავი გამოიჩინეს ძიუდოისტთა პირველ საკავშირო ჩემპიონატში. 9 პრიზიორიდან ექვსი სსრ კავშირის დამსახურებული მწვრთნელის ბ. მაზიაშვილის აღზრდილია (გ. გოგოლაური, ა. ბარკალაევი, გ. ბაგაშვილი, ა. მუზაევი, გ. ონაშვილი, ჯ. ნიჟარაძე). თავი ისახელეს, აგრეთვე, საქართველოს სსრ დამსახურებული მწვრთნელების შ. ზუკაკიშვილის (შ. ფიცხელაური) და ს. ჩიტაშვილის (რ. ხარშილაძე) მოწაფეებმაც. წარმატება უნდა მივულოცოთ კ. შაბურიშვილის ახალგაზრდა მწვრთნელ ჯ. ნათელაშვილსაც.

ნ. ᲒᲣᲒᲣᲨᲕᲘᲚᲘ.



სურათებზე: ძიუდოისტთა პირველი საკავშირო ჩემპიონატის პრიზიორები. ზედა რიგში: მარცხნიდან — შ. ფიცხელაური, გ. ონაშვილი, რ. ხარშილაძე, ა. მუზაევი; ქვედა რიგში: კ. შაბურიშვილი, ა. ბარკალაევი, გ. გოგოლაური, ჯ. ნიჟარაძე (ამ სიაში არ არის ქვემძიმე წონის ბრინჯაოს პრიზიორი გ. ბაგაშვილი).

შ. ზარგარიანის ფოტოები.

* * *

სურათზე: გ. რუხლიადევისა და ა. მუზაევის ფინალური შეხვედრის ფრაგმენტი.

ა. პოდდუბნის ფოტო (საკდესი).

ახალი ამბები-73

● **ოტავა, 20 დეკემბერი.** სსრ კავშირის ჰოკეისტთა მეორე ნაკრებმა დაამთავრა ტურნე კანადაში. ბოლო მატჩში სტუმრები „ტანდერბეი თვინზს" შეხვდნენ. თამაში ფრედ დამთავრდა — 6:6. კანადის პრესა აქებს საბჭოთა ჰოკეისტებს. მათ 6 მატჩი მოიგეს 8-დან (შაიბების ბალანსია 73:28). განსაკუთრებით შედეგიანები იყვნენ კაპუსტინი (13 შაიბა), რეპნევი (10) და შალიმოვი (8).

● *მოსკოვი, 21 დეკემბერი. სსრ კავშირის ჩემპიონი — ადგილობრივი ცსკა-ს ხელბურთელ ვაჟთა გუნდი ევროპის ქვეყნების ჩემპიონთა თასის გათამაშების ნახევარფინალში ვერ გავიდა, მიუხედავად იმისა, რომ დღეს აქ გამართული საპასუხო მეოთხედფინალური მატჩი მოუგო დორტმუნდის „გუმერსბახს" — 19:18 (7:9). ალბათ მიხვდით: გერმანელებმა პირველ შეხვედრაში უფრო დიდი სხვაობით (8 ბურთით) გაიმარჯვეს და, ცხადია, ნახევარფინალშიც ისინი გავიდნენ. კვლავ გამოიჩინა თავი „გუმერსბახის" საუკეთესო ბომბარდირმა ჰ. შმიდტმა. ამჯერად მან მეტოქის კარში 11 გოლი გაიტანა. არმიელთაგან ყველაზე შედეგიანი იყო ვ. კულევი — 9 ბურთი.*

„გმადლობთ, გარინჩა!" — ამბობს საფეხბურთო სამყარო

რიო-დე-ჟანეიროში, „მარაკანის" სტადიონზე, მხოლოდ 20 დეკემბერს, განთიადისას დამთავრდა სახელგანთქმული გარინჩას გაცილების საზეიმო ცერემონიალი, რომელიც 19-ში გვიან საღამოს დაიწყო. სტადიონზე 130 ათასმა კაცმა მოიყარა თავი, რათა „ობრიგადა" (მადლობა) ეთქვა თავისი კერპისთვის, დიდი სპორტიდან გაეცილებინა ცნობილი სპორტსმენი, რომელიც უყვარდათ მისი უბრალოებისა და ადამიანურობისთვის, თამაშის დროს თავგანწირვისა და უმაღლესი ოსტატობისთვის. ბრაზილიაში გარინჩას „ხალხის სულსა და გულს" ეძახიან.

მანოელ ფრანსისკო დოს სანტოსი 1933 წელს დაიბადა ტრიკოტაჟის ფაბრიკის ირგვლივ გაშენებულ პატარა ქალაქ პაუ-გრანდიში, მრავალშვილიან ოჯახში (ასეთი ოჯახი ბევრია ბრაზილიაში). ჯერ კიდევ ბავშვი იყო, ფაბრიკაში მუშად რომ მოეწყო. იქ დაიწყო ფეხბურთის გუნდში თამაში. მალე მანოელი ამ გუნდის სული და გული გახდა. ბუნებამ თითქოს საგანგებოდ იზრუნა, რომ გარინჩა ფეხბურთელი არ გამოსულიყო: ბიჭს ასიმეტრიული ფეხები ჰქონდა და ცალი ფეხით კოჭლობდა კიდეც. მაგრამ ფეხბურთისადმი ფანტასტიკურმა სიყვარულმა ეს ფიზიკური ნაკლი განუმეორებელ ღირსებად აქცია.

მანოელ დოს სანტოსი ჩიტივით დაფრინავდა მინდორზე და ამიტომაც უწოდეს გარინჩა — ბრაზილიაში გავრცელებული ერთ-ერთი ჩიტის სახელი. სახელი მანოელიც შეამოკლეს და საბოლოოდ მივიღეთ მანე გარინჩა, რომელიც მთელმა მსოფლიომ გაიცნო.

1953 წელს გარინჩა „აღმოაჩინა" კლუბ „ბოტაფოგოს" სახელგანთქმულმა მოთამაშემ არატიმ. მან ახალგაზრდა ფეხბურთელი რიო-დე-ჟანეიროში მიიწვია და თავის მწვრთნელ ჟენტილ კარდოზოს აჩვენა. მწვრთნელმა გარინჩას დანახვაზე გაოცება ვერ დამალა: „ამასაც მოვესწარით, ხეიბრები მოდიან ჩვენთან სავარჯიშოდ". მაგრამ მალე მან უკან წაიღო თავისი სიტყვები: გარინჩას მისვლის შემდეგ „ბოტაფოგოს" მდგომარეობა ქვეყნის ჩემპიონატებში საგრძნობლად გაუმჯობესდა. 1958 წელს მანე შვეციის მსოფლიო ჩემპიონატზეც გაემგზავრა (მართალია, მწვრთნელმა იგი სათადარიგო მოთამაშედ წაიყვანა).

გარინჩას იმპროვიზაცია უყვარდა, ტაქტიკური ჩანაფიქრებისა და „რეცეპტების" გარეშე თამაშის მომხრე იყო. მწვრთნელს ეს თავმოყვარეობის შელახვად მიაჩნდა და გარინჩამ ნახევარი მსოფლიო ჩემპიონატი სათადარიგოთა სკამზე გაატარა. სამაგიეროდ, ჟურნალისტები, რომლებმაც იგი საწვრთნელ მეცადინეობებზე ნახეს, გაოცებული წერდნენ: საინტერესოა, რატომ არ გამოდის სარბიელზე მსოფლიოში უძლიერესი ფეხბურთელიო. ამან გასჭრა. გარინჩა მინდორზე გამოვიდა და გუნდმა მყისვე დაიწყო ქულების დაგროვება. ბრაზილიის ნაკრებმა პირველად მოიპოვა მსოფლიო ჩემპიონობა, გარინჩა კი გუნდის „მოტორად" იქცა.

კიდევ უფრო დიდი სახელი მოიპოვა გარინჩამ 1962 წელს, როცა თავისი ქვეყნის ნაკრებთან ერთად კვლავ დაისაკუთრა მსოფლიო ჩემპიონობა. იმავე წელს „ბოტაფოგომ" ბრაზილიის ჩემპიონატში გაიმარჯვა. გარინჩას დიდებამ აპოგეას მიაღწია.

1966 წლამდე გარინჩა „ბოტაფოგოში" თამაშობდა, მაგრამ აქ თავი იჩინა ძველმა მძიმე ტრავმამ და ასაკმა. გარინჩამ თანდათან დაკარგა თავისი განუმეორებელი „ხელწერა". თავად არ სჯეროდა ეს. არც მის მრავალრიცხოვან თაყვანისმცემლებს სურდათ ამის დაჯერება. გარინჩა საბოლოოდ გაანადგურა „ბოტაფოგოს" გადაწყვეტილებამ, რომლის ძალითაც იგი კლუბმა „კორინტიანსმა" იყიდა. ეს გარიგება ფეხბურთელის გარეშე მოხდა.

შემდეგ ბედმა გარინჩა „ფლამენგოში" გადაისროლა, მერე „პორტუგეზაში" თამაშობდა, ბოლოს კი სულაც მიატოვა სპორტი. დაიწყო ყველაზე მძიმე ხანა ცნობილი ფეხბურთელის ცხოვრებაში. გარინჩამ ვერ შეძლო თავისი ამხანაგებივით მოქცეულიყო და დიდების ზენიტში მყოფს შავი დღისთვის ფული გადაენახა. როგორც გაზეთი „ოპინიონი" წერს, გარინჩა მუდამ იყო მოყვარული პროფესიონალთა შორის. გარინჩას სახელით ფულს აგროვებდნენ კლუბები, ქვეყნის ნაკრები, მასთან მოთამაშე ფეხბურთელები, თვითონ იგი კი უფულოდ იყო. ფული მისთვის მთავარი არასოდეს ყოფილა.

გარინჩა იძულებული გახდა საარსებო წყარო ეძებნა. იგი გაემგზავრა იტალიაში, სადაც ბრაზილიურ ყავას უწევდა რეკლამას, მაგრამ ძლივს გაძლო ხელშეკრულების ვადის გასვლამდე და ისევ ბრაზილიაში დაბრუნდა, რათა კვლავ მწვანე მინდორზე გამოსულიყო. როგორც თვითონ ამბობდა, გარინჩას უფეხბურთოდ სიცოცხლე არ შეეძლო. ბრაზილიაში მან ხელშეკრულება დადო „ოლარიასთან", რომელსაც მისი სახელი იზიდავდა.

ცნობილი ფეხბურთელი ამ მეორეხარისხოვან გუნდში კონტრაქტის დამთავრებამდე თამაშობდა, მასთან ერთად მოგზაურობდა ბრაზილიაში და ნაღვლიანად ხუმრობდა: მთელი მსოფლიო შემოვლილი მაქვს, ჩემს სამშობლოს კი არ ვიცნობდი და ახლა ვინაზღაურებ დანაკარგსო.

...დიდი სპორტიდან ასე საზეიმოდ გაცილებას გარინჩა თავის მეგობრებს უნდა უმადლოდეს. მათ იზრუნეს მისი ფინანსური მდგომარეობის გაუმჯობესებისთვის, იზრუნეს, რომ ცნობილ ფეხბურთელს, ბოლოს და ბოლოს, საკუთარი ბინა ჰქონოდა. საღამოს მთელი შემოსავალი მას გადასცეს.

საზეიმო საღამოს დაწყების წინ გარინჩამ ფეხბურთელებს უთხრა: სიხარულისგან ცრემლებს ვერ ვიკავებ და დიდ მადლობას მოვახსენებ ბრაზილიელ გულშემატკივრებს, რომლებსაც დღემდე ვახსოვარო. შემდეგ მან თქვა, ვერ წარმომიდგენია ჩემი თავი მაყურებლის როლში და იქნებ ქაბუკთა რომელიმე გუნდის მწვრთნელად დავიწყო მუშაობაო. ბოლოს კი დასძინა: ვინ იცის, იქნებ ოდესმე კიდევ მომიხდეს „მარაკანის" მწვანე მინდორზე გამოსვლა ვეტერანთა ნაკრებთან ერთად...

გაცილების ორგანიზატორებმა გადაწყვიტეს იმ დღეს გარინჩას პატივსამად რამდენიმე შეხვედრა მოეწყოთ. პირველ მატჩში რიო-დე-ჟანეიროს მომღერალთა გუნდმა ანგარიშით 3:1 მოუგო თეატრისა და კინოს მსახიობთა ნაკრებს. შემდეგ ფეხბურთის ვეტერანები შეხვდნენ გუანაბარის შტატის ადმინისტრაციული ორგანოების გუნდს — 1:1, ხოლო მთავარი იყო ბრაზილიის ნაკრების შეხვედრა უცხოელი ფეხბურთელებისგან შემდგარ გუნდთან. მინდორზე გამოვიდნენ მსოფლიო ფეხბურთის ვარსკვლავები: პელე, ჟაირზინიო, რიველინო, პაულო ცეზარი და სხვ. მათ შორის იყო გარინჩა. სტუმრებიდან უნდა დავასახელოთ არგენტინელი ბრინდიზი, ურუგვაელი ბრუნელი და საბჭოთა სპორტსმენი ონიშჩენკო.

მატჩის დასაწყისში ბრაზილიელებმა თამაში მთლიანად გარინჩაზე ააგეს, რათა გულშემატკივრები თავიანთი კერპის ოსტატობით დამტკბარიყვნენ. 30 წუთის შემდეგ თამაში შეაჩერეს და დაიწყო მაყურებელთან გამოთხოვების ცერემონია: გახარებულმა და აღელვებულმა გარინჩამ ტრიბუნების ტაშის გრიალში შემოუარა სტადიონს. ყოველი მხრიდან ისმოდა ტკაცუნებისა და დოლის ხმა.

მატჩი მოიგეს ბრაზილიელებმა — 2:1. ერთი გოლი „თავისი სტილით" გაიტანა პელემ.

ზეიმი კი გრძელდებოდა. მაყურებლებმა ღამის სამ საათზე დატოვეს სტადიონი, მაგრამ მეზობელი ქუჩებიდან კიდევ დიდხანს ისმოდა მათი ყიჟინა.

ბრაზილიური ფეხბურთის ვეტერანმა იმ საღამოს საჩუქრად მიიღო გალიაში ჩასმული პატარა, მხიარული ჩიტი გარინჩა... ამიერიდან ცნობილი ფეხბურთელის ოთახს დაამშვენებს ტულელ ოსტატთა ნახელავი სამოვარიც, რომელიც საბჭოთა ფეხბურთის მოყვარულთა სახელით გადასცა მას რიო-დე-ჟანეიროში მყოფმა სსრ კავშირის კლუბების ნაკრებმა...

ბ. შჩერბაკოვი,
(საქდესის კორ.).
რიო-დე-ჟანეირო.

მექრთამეობა

ანუ მორალი... გარემოებათა მიხედვით

დასავლეთ გერმანიის ცნობილი საფეხბურთო კლუბის „შალკე-04"-ის მეპატრონეები შეშფოთებული არიან გუნდის დღევანდელი სატურნირო მდგომარეობით (XV ადგილი პირველი წრის შემდეგ ბუნდესლიგის თვრამეტ გუნდში). ამიტომ მათ განიზრახეს კოლექტივში დააბრუნონ ძველი როლფ რესმანი და თავდამსხმელი რაინჰარდ ლიბუდა. ამაში თითქოს გასაკვირი არაფერია, მაგრამ...

ორი წლის წინათ გფრ-ის სპორტული საზოგადოებრიობა ააფორიაქა გრანდიოზულმა სკანდალმა, რომლის მიზეზიც იყო მოთამაშეებისა და თვით მთელი გუნდების მოსყიდვა მატჩებში „საჭირო" ანგარიშის მისაღწევად. „არმინია ბილეფელდი" გარიცხეს კიდეც ბუნდესლიგიდან. ამ კლუბს 465 ათასი მარკა ჰქონდა გამოყოფილი ხუთ მატჩში „შედეგების საყიდლად". ამ მატჩებიდან ერთ-ერთი იყო „შალკესთან" შეხვედრა, რომლის შემდეგაც ქრთამის ამღებ ფეხბურთელებს რესმანსა და ლიბუდას 1974 წლის 1 მარტამდე დისკვალიფიკაცია მიეცათ. იმ დღეებში „შალკეს" ხელმძღვანელობამ საჯაროდ გაკიცხა დამნაშავენი, მაგრამ ეს მხოლოდ პოზა იყო. ახლა კლუბის მეპატრონეები მზად არიან კვლავ დააბრუნონ გუნდში ქრთამის ამღებნი, ოღონდ კი „შალკე-04"-მა თავის გადასარჩენად ქულები დააგროვოს.

თუმცა, ასე მარტო „შალკეს" ხელმძღვანელები როდი იქცევიან. დასავლეთ ბერლინის კლუბ „ჰერტის" ცხრა მოთამაშეს ქრთამის აღებისა და სხვადასხვა სიყალბის ჩადენისთვის ორი სეზონის მანძილზე აუკრძალეს ბუნდესლიგაში თამაში. შვიდი მათგანი მყისვე იყიდა სამხრეთ აფრიკის რესპუბლიკამ. ისინი ვალდებული არიან ხუთ წელიწადს ითამაშონ იმ ქვეყანაში, რომელსაც მსოფლიოს ყველა პატიოსანმა სპორტსმენმა ზურგი შეაქცია. „ჰერტის" პრეზიდენტმა ვარნეკემ, რომელმაც კარგა დიდი თანხა მოიგო რასისტებთან საქმის მოკვარახჭინებით, სახალხოდ განაცხადა: სასჯელი ახლა ისე მკაცრად აღარ გვეჩვენებაო.

ეს ცინიზმი ჩვენ არ გვიკვირს. მორალი გარემოებათა მიხედვით — ასეთია ნებისმიერი ბიზნესის წესი კაპიტალისტურ სამყაროში.

ა. გორბუნოვი.
(საქდესის კორ.).

1974 წელი — გარდატეხის წელი

ამას წინათ შედგა რეგბის საკავშირო ფედერაციის პლენუმი, რომელმაც განიხილა საბჭოთა კავშირში რეგბის მდგომარეობისა და მისი შემდგომი განვითარების საკითხები. პლენუმს წინ უძღოდა ფედერაციის პრეზიდიუმის წევრთა თათბირი საკავშირო სპორტკომიტეტის თავმჯდომარესთან ს. პავლოვთან.

პლენუმმა თავის დადგენილებაში შეიტანა პუნქტი, რომელიც ითვალისწინებს რეგბის საკავშირო ფედერაციის შესვლას ამ სახეობის საერთაშორისო ფედერაციაში (ფირა). ფირა-ს წევრად სსრ კავშირის რეგბის ფედერაციის მიღებისა და საბჭოთა ქვეყანაში ნაკრები გუნდების დონეზე დიდი საერთაშორისო ტურნირის ჩატარების შესახებ თხოვნა ახალი წლიდან გაიგზავნება.

ეს ნაწილია იმ დიდი გადაწყვეტილებისა, რომელიც პლენუმმა მიიღო და რომელიც საბჭოთა ქვეყანაში რეგბის ფართო პოპულარიზაციას ითვალისწინებს.

განსაკუთრებული ადგილი დაეთმობა რეგბის განვითარებას მოზარდთა შორის — გაისად მათთვის მოეწყობა საკავშირო პირველობა, 1975 წლიდან კი საკავშირო პირველობის ნებისმიერ ჯგუფში ვერც ერთი კოლექტივი ვერ შეძლებს ასპარეზობას, თუ მოზარდთა გუნდი არ ეყოლება.

პლენუმმა გამოჰყო კომისია, რომელიც საბჭოთა კავშირის თასის გათამაშების დებულებას შეიმუშავებს. გაფართოვდება საერთაშორისო თამაშების კალენდარი.

პლენუმმა საქართველოს რეგბის ფედერაციას უსაყვედურა იმის გამო, რომ იმ რაიონებს, სადაც ლელო დანერგილი, სათანადო ყურადღება არ ექცევა.

გ. მრელაშვილი,
რეგბის საკავშირო ფედერაციის პრეზიდიუმის წევრი, საკავშირო კატეგორიის მსაჯი.

სამშობლოს სიყვარულით

✦ **ზესტაფონი**

საქსოფლტექნიკის რაიონულმა განყოფილებამ (უფროსი ა. ბარბაქაძე) ამას წინათ მოაწყო ლაშქრობა-ექსკურსია მარშრუტით: ზესტაფონი — გორი — მცხეთა — საგურამო — ანანური — ჩარგალი — ფასანაური — ყაზბეგი — ორჯონიკიძე — ზესტაფონი. ლაშქრობა-ექსკურსიის მონაწილეებმა დაათვალიერეს ი. სტალინის სახლ-მუზეუმი გორში, სვეტიცხოველი მცხეთაში, ჯვრის მონასტერი, ი. ჭავჭავაძის სახლ-მუზეუმი საგურამოში, ვაჟა-ფშაველას სახლ-მუზეუმი ჩარგალში...

ა. განუგრავა.

[illegible]

მიშელ სიმონი... ჩემპიონის აღმზრდელი

კინოს მოყვარულები კარგად იცნობენ გამოჩენილ ფრანგ მსახიობს მიშელ სიმონს, რომელსაც ფრანგები სიყვარულით „მიშელ მშვენიერს" უძახიან. იგი ბევრ საქვეყნოდ განთქმულ ფილმში მონაწილეობს და თავისი განუმეორებელი ხელოვნებით მილიონობით მაყურებლის გული აქვს მოხიბლული. ქართველ მაყურებელს იგი უნახავს „პარიზის ღვთისმშობლის ტაძარში", „ბატონ ტაქსიში" და სხვა ფილმებში.

განსაკუთრებით დასამახსოვრებელია მისი ტაქსის შოფერი — განუზომლად გულკეთილი და პატიოსანი. მაგრამ ბევრმა ალბათ არ იცის, რომ ეს შესანიშნავი მსახიობი ახალგაზრდობაში კარგი მოკრივე გახლდათ და უკვე მოწიფულობაში სერიოზულად ფიქრობდა მწვრთნელის კარიერაზე. ის კი არა, ერთი მისი მოწაფე შემდგომში ევროპის ჩემპიონიც გახდა.

თვითონ ოთხმოც წელს მიღწეული მიშელ სიმონი სიამოვნებით იგონებს იმ წლებს, როცა მოკრივეთა მწვრთნელად მუშაობდა.

სად, როდის, როგორ...

დადგინდა ჭადრაკში მსოფლიო პირველობის პრეტენდენტთა მეოთხედფინალური მატჩების ზუსტი თარიღები და ადგილები.

ბ. სპასკი და რ. ბირნი ერთმანეთს შეხვდებიან 1974 წლის 14 იანვარს სან-ხუანში (პუერტო-რიკო), ტ. პეტროსიანი და ლ. პორტიში — 18 იანვარს პალმა-დე-მალიორკაში (ესპანეთი), ე. მეკინგი და ვ. კორჩნოი — 16 იანვარს აუგუსტაში (აშშ), ა. კარპოვი და ლ. პოლუგაევსკი — 17 იანვარს მოსკოვში.

ამ მატჩების არბიტრები არიან, შესაბამისად, ვ. დორაზილი (ავსტრია), ა. ჰაინცე (გდრ), ბ. კაჟიჩი (იუგოსლავია) და ვ. მიკენასი (სსრ კავშირი).

მეოთხედფინალურ მატჩებში ბრძოლა იქამდე გაგრძელდება, სანამ ერთ-ერთი მეტოქე სამ პარტიას არ მოიგებს, მაგრამ პარტია თექვსმეტზე მეტი არ იქნება. თუ ვერც ერთმა მეტოქემ საჭირო უპირატესობას ვერ მიაღწია, მაშინ გამარჯვებულად გამოცხადდება ამ მომენტისთვის დაწინაურებული მოჭადრაკე. ქულების თანაბარი რაოდენობის შემთხვევაში ყველაფერს კენჭისყრა გადაწყვეტს.

ნახევარფინალში სპასკი — ბირნის მატჩში გამარჯვებულ მოჭადრაკეს შეხვდება კარპოვ—პოლუგაევსკის ორთაბრძოლაში გამარჯვებული. შესაბამისად მეორე ნახევარფინალში ერთმანეთს შეხვდებიან ორ სხვა მეოთხედფინალურ მატჩში გამარჯვებულნი.

ნახევარფინალები 15 აპრილიდან ჩატარდება. ბრძოლა ოთხ მოგებამდე გაგრძელდება, ოღონდ პარტია ოცზე მეტი არ იქნება.

პრეტენდენტთა ფინალური მატჩი, რომელიც მსოფლიო ჩემპიონის მეტოქეს დაასახელებს, დაიწყება არაუგვიანეს 1 სექტემბრისა. მატჩი ხუთ მოგებამდე გაგრძელდება. პარტიების რაოდენობა 24-ს არ გადააჭარბებს. (საქდესი).

რედაქტორი მ. კაკაბაძე.

24 დეკემბერს

ფარიკაობისა და ძალოსნობის სპეციალიზებულ დარბაზში გაიმართება ძალოსნობის რესპუბლიკური ფედერაციის პლენუმი.

დასაწყისი 19 ს.

24-25 დეკემბერს

საქართველოს ფიზკულტურის ინსტიტუტში მოეწყობა ძალოსნობის მწვრთნელთა თათბირ-სემინარი. დასწრება სავალდებულოა.

დასაწყისი 10 ს.

26 დეკემბერს

საქართველოს ფიზკულტურის ინსტიტუტის შენობაში მოეწყობა ფრენბურთის რესპუბლიკური ფედერაციის პლენუმი.

დასაწყისი 16 საათსა და 30 წუთზე.

ИНДЕКС 66448 საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტის გამომცემლობის სტამბა, ლენინის ქ. № 14.
უე 08029